გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 146

2025 წლის 30 ოქტომბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

სხდომის თავმჯდომარე ლიანა ოქროპირიძე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგი

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

2. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის შესახებ;

3. სამანდატო დროებითი კომისიის არჩევა;

4. ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;

5. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

6. საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილეების არჩევა;

7. საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება;

8. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა;

9. საკრებულოს კომისიებში საკრებულოს წევრების დანიშნულად ცნობად მიღების შესახებ;

10. საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა.